# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| | გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა | — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. — |

მეოთხე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

**ხელის-მოწერა მიიღება.**

თფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и к°)*

№ 6 შაბათი — IV — 30 მარტი, 1871 წ.


**შ ი ნ ა ა რ ს ი**

ამხანაგობის მალა. — რა გზით შეიძინება მიწა-წყალი. — ერთი ჩუვაშელი ახალგაზდა. — ევროპის ოჯახობის სურათი. — სამეურნეო-სამოხელო ნაწილი. — ბამბა. — ქაღალდის კეთება. — წიგნის ბეჭდვა. — მნათობის რედაქციისგან.

## ამხანაგობის მალა

### რა გზით შეიძინება მიწა-წყალი?

როგორც წინეთ ვთქვი, გლეხ-კაცობას სამნაირი გზა აქვს მებატონესთან მოსარიგებლათ მიწა წყლის შეყიდვაზე: 1) თითოეულ ცალკე გლეხს შეუძლია თავისი ხვედრი მიწა-წყლის შეყიდვაზე მოურიდგეს თავის მებატონეს; 2) რამდენიმე გლეხს ერთათ, ერთმანეთის თავდებობით შეუძლიან შეეკრან მებატონეს პირობით, თავიანთი ხვედრი მიწა-წყლის შესყიდველათ; და 3) მთელს სოფელს ერთბაშათ შეუძლია შეიყიდოს საბატონო მიწა-წყალი.

რაღა თქმა უნდა, რომ პირველ შემთხვევაში, როცა თითო გლეხი ცალკე ურიგდება მებატონეს, კანონი მარტო ამ ორი პირის თანხმობას თხოულობს, და როცა ისინი თავ თავისი მხრით განცხადებას მისცემენ მთავრობას, მორიგდეთო, მმართებლობა მაშინ მხოლოდ იმას დასდევს, კანონის და წესის წინააღმდეგი ხომ არაფერი ჩაუწერიათ მორიგების პირობაშიო. მაგრამ, როცა მორიგება ამხანაგობას ან და მთელ სოფელს და მებატონეს შუა ხდება, კანონი სულ სხვა ნაირ წესს თხოულობს, იმას გარდა, რომ პირობაში კანონის წინააღმდეგ არა იყოს რა.

როცა რამდენიმე გლეხი ერთათ ამხანაგობას ადგენენ მიწის შეყიდვისათვის, კანონი თხოულობს, რომ იმათ მტკიცე ამხანაგობის წერილი დაწერონ. სასოფლო სასამართლოში დამტკიცებული, რომელშიაც ნათლათ გამოყვანილი უნდა იყოს, რომ ესა და ეს გლეხები ამა და ამ მებატონეს პირობებს აძლევენ მიწა-წყლის შეყიდვას ფასი თავის დროზე გარდაიხადონ, და ვინიცობაა ზოგიერთმა გლეხმა თავის დროზე ფული რომ არ გადაიხადოს, დანარჩენები ამ გადასახადს თავის თავზე კისრულობენ. ამნაირი პირობის წერილი ყველა დათანხმებულ გლეხებისგან ხელმოწერილი უნდა იყოს, და წერა-კითხვის უცოდნელობის მაგიერ, მისივე თხოვნით სხვა ვინმე უნდა მოაწეროს ხელი, სასოფლო სასამართლოს დამოწმებით.

როცა მიწას შეიყიდის მ თ ე ლ ი  ს ო ფ ე ლ ი, მაშინ, ამ საქმის დაწყებამდი, უნდა შედგეს ს ა ს ო ფ ლ ო  კ რ ე ბ ა (*мірской сходъ*), და ამ კრებამ გადაწყვეტილება უნდა შეადგინოს (*мірской приговоръ*), რომელშიაც გამოყვანილი უნდა იყოს რომ მთელ სოფელს მიწა-წყლის შეყიდვა ჰსურს, და ამ შეყიდვის ფასის გადახდას კისრულობს. ამნაირ გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ მიეცემა კანონიერი მალა, როცა იმაზე დათანხმდება და ხელს მოაწერს ორი მესამედი იმ გლეხებისა, რომელთაც კანონისამებრ საზოგადო კრებაზე ხმა აქვთ.

ამ გადაწყვეტილებაში, სხვათა შორის, ისიც უნდა იყოს გამოყვანილი, რომ კრება ამა და ამ პირს ირჩევს, მებატონესთან სოფლის სახელით პირობის შესაკვრელათ.

როცა ცალკე გლეხი, ან გლეხების ამხანაგობა, ანა და მთელი სოფელი ამ წესისამებრ მოიქცევა და მებატონეს შეურიგდება მიწა-წყლის შეყიდვაზე, იმათ მომრიგებელ შუამდგომელს (მიროვოი პოსრედნიკს) განცხადება უნდა მისცენ, რომელშიაც დაწვრილებით მოხსენებული უნდა იყოს:

ა, წოდება სახელი, მამის სახელი და გვარი იმ მებატონისა, რომლის მამულშია შესაყიდველი მიწა-წყალი.

ბ, იმ გუბერნიის და უეზდის სახელი, რომელშიაც მდებარეობს ეს მამული.

გ, რა რიგათ ერგო ეს მამული მის მეპატრონეს (ესე იგი ყიდვით, მემკვიდრეობით, თუ სხვაფერ).

დ, იმ სოფლის საზოგადოების და სოფლის სახელი, რომელსაც ეკუთვნიან მიწა-წყლის შემყიდველი გლეხები.

ე, როცა მიწა-წყალს შეიყიდის მთელი სოფელი, მოხსენებული უნდა იყოს ამ სოფლის მცხოვრებლების რიცხვი უკანასკნელი რევიზიისამებრ, და როცა შეიყიდის რამდენიმე გლეხ-კაცების ამხანაგობა, ამ გლეხების სახელი და გვარი თითოეულათ.

ვ, რამოდენა მიწა-წყალი მითვისებული აქვთ გლეხებს ნადელში უსტავნი გრამოტით, რამოდენა გადასახადია დაწესებული ამ მიწა-წყალში, მოხდა თუ არა რამე ცვლილება ნადელში მიცემულ მიწა-წყალში, და თუ მოხდა, როგორი და რა საფუძვლით.

ზ, მთელ ნადელს შეიყიდიან გლეხები, როგორც უსტავნი გრამოტითა აქვთ მიცემული, თუ ნაკლებს.

ც, რა და რა მიწა-წყალს შეიყიდიან გლეხები, და რა ზომისას.

თ, შესასყიდველი მიწა-წყლის საზღვრები, იმნაირათ აღნიშნულები უნდა იყოს, რომ შეყიდვის შემდეგ ეჭვი და დავა შეუძლებელი იყოს იმაზე, თუ რა და რა მიწა-წყალი შეუყიდიათ გლეხებს. როცა გლეხი შეიყიდის იმასთანა მიწა-წყალს, რომელიც ნაჭერ ნაჭერია, ერთ ადგილს და მეორე — მეორეს, მოხსენებული უნდა იყოს იმ ადგილების სახელები, სადაც თვითოეული ნაჭერი მდებარეობს.

და ი, რასიოდე გადასახადი აქვს შესასყიდველ მიწა-წყალს, და რამოდენა ფული უნდა გამოიღოს, კანონისამებრ, მმართებლობამ, ამ მიწა-წყლის შესაყიდველათ.

ამ განცხადებასთან წარდგენილი უნდა იყოს, თუ მიწას მთელი სოფელი შეიყიდის, — სოფლის კრების განაწყვეტილება, და თუ ზოგიერთი გლეხ-კაცების ამხანაგობა, — ამ გლეხ-კაცების ერთმანერთის თავდებობა, და ყოველ შემთხვევაში უსტავი გრამოტის პირი. —

განცხადება, მორიგების პირობა და ყოველიფერი, რაც მასთანავე წარდგენილი იქნება, იწერება, უბრალო (უღერბო) ქაღალდზე, მორიგების წერილის თითოეულ თაბახზე და ბოლოს უნდა ჰქონდეს მოწერილი ხელი, და ეს ხელის მოწერა დამოწმებული უნდა იყოს მიროვოი პოსრედნიკით.

რა კი მიროვოი პოსრედნიკს ამნაირათ შედგენილი და ხელმოწერილი მორიგების პირობა მიეცემა, იმან უნდა გასინჯოს, მართლა მოხდა თუ არა ეს მორიგება ყველა იმ პირობაზე, რომელიც მოყვანილია მორიგების წერილში, და აგრეთვე ნამდვილათ ცნობები და ანგარიშია მოყვანილი შიგ, თუ არა. ამის შესატყობლათ მიროვოი პოსრედნიკს შეუძლია თავის მხლებ მიწის მზომელებს მიწა წყალი ააწერინოს, და მთელი სოფელი და გლეხები გამოჰკითხოს: შეყიდვის თაობაზე.

თუ მიროვოი პოსრედნიკი დარწმუნდა, რომ მორიგების წერილი კანონის თანახმათ არის შედგენილი, და მასში მოხსენებული ზომა, პირობები და ანგარიში სწორეა, იმან ეს მორიგების წერილი მაშინვე უნდა წარუდგინოს გლეხ-კაცობის საქმეებისთვის დაწესებული გუბერნიის სამმართველოს (პრისუტსტვიას), რომელსაც კანონი ამ საქმეში დიდ-გავლენას აძლევს.

პრისუტსტვიამ, თავდა-პირველათ გამოგზავნილი მორიგების წერილი უნდა გასინჯოს, და სადაც საჭიროა, ცნობები შეკრიბოს, აწევს თუ არა რამე ვალი შესასყიდველ მამულს, და თუ აწევს, ვისი და რამდენი. — კანონი ამას იმისთვის თხოულობს, რომ ბევრი მებატონეს მამულები სხვა და სხვა ბანკებში კერძო პირებს დაგირავებული აქვთ მებატონეების ვალში, და მიწა წყალი გლეხებს რომ მიეცეს, და გლეხებისგან გადახდილი ფული მებატონემ რომ მიიღოს, ბანკები და მებატონეზე ფულის გამსესხებელნი დაზარალებული დარჩებიან. ამ მიზეზით, კანონი სასტიკ გამოძიებას თხოულობს, შესატყობათ თუ ვისი და რამდენი ვალი აწევს შესასყიდველ მამულს, და ამ გამოძიებას დიდი დრო უნდება, სანამ ნამდვილათ აღმოჩნდება მამულის მეპატრონეს მდგომარეობა მაშინ პრისუტსტვიე მთელ საქმეს პეტერბურგს გზავნის, იმ სამმართველოში, რომელსაც განსაკუთრებით მიწა-წყლის შეყიდვის საქმეები აქვს მინდობილი, და ამ სამმართველომ ხელ-ახლავ უნდა გასინჯოს, სწორეთ ნაანგარიშებულია თუ არა, რამდენიმე ფული ერგება მებატონეს მმართებლობის და გლეხ-კაცების მხრით. როცა ეს გასინჯვა გათავდება, შეყიდვის საქმეებისთვის დაწესებული სამმართველო საქმეს უკანვე გუბერნიის სამმართველოს უგზავნის, და თან იმ ფულსაც გზავნის, რომელიც მმართებლობამ თავის მხრით უნდა გამოიღოს, მებატონესთვის მისაცემლათ.

გუბერნიის სამმართველო, როცა იმას საქმე უბრუნდება ფულებით, ანგარიშობს, რამდენი ფული უნდა მიეცეს დანიშნულ ჯამიდგან მებატონეს მოვალეებს, რამდენი უნდა დააკლოს სახელმწიფო გადასახადში და რამდენი უნდა მიეცეს თვითონ მებატონეს. მაშინ, დამტკიცებულ მორიგებას წერილი კანონიერ ძალას იღებს, და მთავრობა განკარგულებას შვრება ორ საგანზე: ერთი რომ მებატონეს და გლეხებს შუა ყოველივე ვალდებული დამოკიდებულება მოისპოს, და მეორე, რომ გლეხებს შეყიდული მიწა ჩაბარდეს. ამას შემდეგ გლეხ-კაცებს მარტო მმართებლობასთან ექნებათ საქმე, და მმართებლობას უნდა უხადონ სახელმწიფო გადასახადს გარდა ის ფული, რომელიც მმართებლობამ მიწის შესასყიდველათ გამოიღო. რასაკვირველია, რომ, თუ მორიგების პირობაში გლეხებმა მებატონეს რამე მომეტებული გადასახადი დაპირდენ, ეს გადასახადი იმათ თვითონ პირდა-პირ უნდა გადაუხადონ მებატონეს, თუ წინდა-წინ მიცემული არა აქვთ ეს ფული ან საქმის დაწყებასთანავე მთავრობისთვის არ წარუდგენიათ.

ნ. ცკანდელი.

## ერთი ჩუვაშელი ახალგაზდა

სწავლა ღონეა ამბობენ სახელმწიფო გვამები, სწავლა სიმდიდრეა—ამბობენ კეთილ-მდგომარეობის კანონების მეძიებელნი. მართლაც რომ სწავლა სიმდიდრეა—ეს დაამტკიცა მთელმა ევროპის განათლებულმა ხალხებმა და სწავლა რომ ღონეა—ეს ამ წელსაც დაამტკიცა ფრანცუზების და ნემცების ბრძოლამ ერთმანერთში. ამისგამო ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რამდენათაც უფრო დიდი სწავლა აქვს რომელსამე სახელმწიფოს და რამდენათაც უფრო გაატანს ეს სწავლა შიგ ხალხში და იმას გაანათლებს, იმდენათ უფრო მდიდარი და ძლიერი ხდება ის სახელმწიფო.

* * *

მაგრამ თუ მივიხედ-მოვიხედავთ ჩვენს სოფლებში და ყურს დავუგდებთ, როგორ მიდის იმის განათლება, მაშინ დავრწმუნდებით, რომ საქმით კი ძალიან ცოტა კეთდება, თუმცა ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ სწავლა-განათლება ყველასთვის საჭიროა. რუსეთში საერთო განათლების საქმე ბევრათ უკეთ მიდის, ვიდრე ჩვენში. იქ ისეთი გუბერნია თითქმის არ მოიძებნება, რომლის უეზდების სოფლებში სკოლები არ იყოს გამართული. იქ საზოგადოებაც უფრო გულ-მხურვალეთ უწყობს ხელს ამისთანა საქმეს. მაგალითად, სიმბირსკის გუბერნიაში ერთმა ახალგაზდა ჩუვაშელმა უმაწ

ვილმა ითავა თავის მემამულების გასაზდელათ საზოგადოებაში ხელმოწერით ფულის შედგენა, რომ შემდეგ ისინი გამხდარიყვნენ თავის მეუნაში პატარა სოფლის უმაწვილების მასწავლებელნი.

***

ამისთვის ურიგო არ იქნება ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმ ახალგაზდა ვაჟზე, რომელმაც მოახდინა ეს ამბავი. სიმბირსკში ცხოვრობდა ერთი ჩუვაშელი ახალგაზდა, ის ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა დედმამა მოუკვდა და ქუჩაქუჩა დადიოდა. როგორღაც მოჰკრეს ხელი და სოფლის შკოლაში მისცეს, სადაც იმან ისწავლა წერა-კითხვა. ამის შემდეგ ადგილი რომ ვეღარსად იშოვნა, კინაღამ მწყემსად არ წავიდა; მაგრამ გამოჩნდენ კეთილი გვამები, რომელთაც ითავეს იმისი შეყვანა საბატონისშვილო სასწავლებელში. იქ რომ გაათავა სწავლა, მერე სამსახურში შევიდა; მაგრამ ამ სამსახურითაც არ დაკმაყოფილდა. მერე ის გაემზადა და შევიდა გიმნაზიაში. რათიც იქნა დაიჭირა მეხუთე კლასის ეგზამენი და სამის წლის განმავლობაში ოქროს მენდლით გაათავა სიმბირსკის გიმნაზია და წავიდა უნივერსიტეტში.

***

დაბალი ჩუვაშელი წოდებიდგან გამოსული ახალგაზდა არ გაამაყდა, არ გაწყვიტა კავშირი თავის გვარის კაცებთან და არ დაივიწყა ისინი. სიმბირსკის გიმნაზიაში რომ სწავლობდა, მაშინ იმან დაიბარა ჩუვაშელი სოფლიდგან ჯერ ერთი ახალგაზდა, მერე-ორი უმაწვილი, და ასწავლა რუსული წერა-კითხვა და მერე მიაბარა სიმბირსკის უეზდის სასწავლებელში თავის ხარჯზე. რომ მოემზადებინა ისინი ჩუვაშის სოფლის შკოლების მასწავლებლათ. ამ დროს თვითონ ეს ახალ-გაზდა უროკებით ცხოვრობდა. ამ უმაწვილების რჩენა ათ თუმნათ უჯდებოდა წელიწადში, მაგრამ ამით გაჭირებას არ იჩენდა, არავის ეხვეწებოდა, რომ ხელი გამიმართეთ ამ მოსწავლეების რჩენაშიო.

***

როდესაც ზემოხსენებულმა უმაწვილმა გაათავა სწავლა და ემზადებოდა უნივერსიტეტში და იმის შეგირდები სამათ გახდენ, მხოლოდ მაში სთხოვა საზოგადოებას შემწეობა, რადგან არ უნდოდა, ისინი ყოვლად უმოწყალოთ და უპატრონოთ დაეგდო. ზოგიერთებს გარდა სიმბირსკის საზოგადოებამ თანაგრძნობა გამოუცხადა ამ უმაწვილს ხელის მოწერით და ჩუვაშელი ბავშვები უპატრონოთ წარსული წლის მარიამობისთვიდგან მშიერ ტიტველნი არ დარჩენილან და მიეცათ შემლება სწავლის გაგრძელებისა უეზდის სასწავლებელში. მომავალ იანვარიდგან კი სიმბირსკის გიმნაზიის დირექტორის შუამდგომლობით ბუინსკის ერობა დაჰპირდა ამ უმაწვილების სარჩენათ ოცდაოთხთუმანსა.

---

## ევროპის ოჯახობის სურათი

ჩვენი ქვეყნის შედარებით გერმანიაში მიწის ხელობა მალიან დაწინაურებულია. ჩვენი გავერანებული და გაფუჭებული სახნავ-სათესი რომ შევადაროთ იმათ სახნავ-სათესს, რომელიც დიდებული ბაღის მგზავსათ გვეჩვენება, მაშინ კიდევ უფრო დიდს განსხვავებას ვნახავთ.

პირველ შეხედვაზე თქვენ გაკვირვებსთ მინდვრების სისუფთავე, იმათი კანონიერათ დაწყობილება, მშვენიერი წესი ხეხილების და მასაზრდოებელი მცენარების ყურისგდებისა. მერე იქვე გაკვირვებსთ დიდი ტანის და მშვენიერათ ნაპატივები შინაური საქონელი, ლამაზათ და გარკვევით აგებული საოჯახო შენობები. როდესაც თვალს მოჰკრავ ყანებში მუშაკებს, გული გაგინათლდება, იმათს გულს მოდგინებას, მომჭირნეობას და გონიერათ მუშაობის ცოდნას რომ უყურებ. ყანები ყოველგან ისე დამუშავებული და გაწმენდილია, რომ შიგ ნემსიც ვერ დაგემალება შეუნიშნავათ: მდიდრათ გაშლილი მცენარეობა და ბალახბულახის უმყოფობა ნათლათ ამტკიცებს ამას.

***

გერმანიაში მიწას უმუშავებლათ არ დააგდებენ. თუ ვაკე ალაგებია, იქ ყოველგან ყანებია გამართული, და ისე მკაფიოდ არის სხვა და სხვა მეოჯახეების სახნავ-სათესი მიწები ერთმანეთში გარჩეული რომ როგორც ხელის გულს ისე გაარჩევ რომელი ყანა რომელი მეოჯახის არის. ყოველგან ჰხედავ წვრილს მშვენიერათ გაკეთებულს გზებს, რომელნიც ყანებსაც არ ავნებენ და სასიარულოთაც მალიან მოხერხებულნი არიან. სადაც კი ცოტათ უსწორ-მასწორი, ან ჩაღრმავებული ალაგებია, ყოველგან რუებია გაყვანილი. ერთი სიტყვით ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე რწმუნდებით, რომ ოდნა ალაგიც არ არის მომჭირნე მეოჯახის უყურადღებო. ყოველიფერი ანგარიშით არის გაკეთებული, ყოველგან ეტყობა, რომ იმ ქვეყნებში სცხოვრობს მიწის მალიან მოსიყვარულე მეოჯახეები.

***

თუ ადგილის მდებარეობა მთა-გორიანია, ის სულ დაყოფილია დაკიბულ კვლებათ, ოდნა მიწის ნაგლეჯიც არ იპოება იმისთანა, სადაც კაცს ხელი მიეწვდებოდეს და შემუშავებული არ იყოს. მთებზე დამუშავებული მიწის კვლები მაღლიდგან ძირს კიბე-კიბეთ ჩამოუყვება. თუ სიბა კლდეა, იმაზედაც უეჭველათ მიწაა დაყრილი და ზედ დათესილი სიმინდი, ან სხვა მიწის ნაყოფის მომცემი მცენარეები, ხეხილი, ვენახის ვაზები და სხვა. პირველ შეხედვაზე კაცები და, ასე გაშინჯე, უმაწვი-

ლებსაც რომ გოდრებით მიწა ააქვთ წრიაპ კლდეებზე და მთებზე, აკეთებენ ზედ მთის კონწოლებზე წყლის საგუბრებს, რომლითაც რწყვენ თავის საყვარელს მცენარეობას, ამასთანავე მძიმე შრომას მუშაკისას რომ ხედავ, გული გიკვდება, მაგრამ რამდენათაც შემაწუხარია გულჩვილი კაცისთვის ეს მძიმე შრომის სურათი, იმოდენათ სამხიარულოა, როცა ხედავ რომ ამ შრომას მდიდარი ნაყოფი მოაქვს. მაგალითად ყურძნის მოკრეფის დროსთანა სამხიარულო რაიქნება? ზემოხსენებულ მთის ფერდებს, რომელზედაც ასვლა მიუჩვეველ კაცებისთვის საძნელოა და საშიშოა, გერმანიის მუშაკი ყიდულობს ძვირათ და სახელმწიფო ხარჯსაც ბევრათ მომეტებულს იხდის იმისთვის; მაგრამ შრომის მოყვარე გერმანიელს ეს ვერ შეაჩერებს ვერც ერთს მინუტას. ეს ფერდები მორწყულია გერმანიელის ოფლით; ისინი ცხადათ ამტკიცებენ იმათ შრომას და დაუძინებელს მოქმედებას.

* * *

თუ მიწა ქვიშიანია, რომელზედაც თავის თავათ არაფერი ხარობს, ისიც კი გამოუყენებია გერმანიელს მუშას, ჯერ დაუთესია ზედ მკალფოთოლა ხეები, მაგალითად ნაძვი, ფიჭვი, ურთხელი და სხვა, გაუმაგრებია ეს ფხვნილი ქვიშა, გაუკეთებია ზემოთი მიწის პირი და გაუხდია სამუშაო მიწებათ. რაც უნდა ფერწიანი, ან ქვიანი ადგილი იყოს, ნემეცი არ იტყვის, რომ ეს უვარგი მქისი მიწა არისო. სადაც კი მიწა და ჰაერია, იქ ისინი მცენარესაც გააჩენენ. ჭაობიანი ადგილები გერმანიაში ძალიან ცოტაა და სადაც, არის სჭრიან ამ ჭაობში დამპალ მიწა-არეულ მცენარეობას და ხმარობენ წივათ, ან გაჰყავთ რუები და არხები, ან შეიმუშავებენ ისეთნაირათ, რომ სახნავ-სათესი ადგილები გამოდგეს. მოკლეთ რომ ვთქვათ, იქ არ არის ისეთი მივიწყებული ჭაობები, სადაც ბაყაყების ზღმურდლით არის გატენილი იქაურობა და ჰაერს ხაშმით სწამლავენ, ისე როგორც არ არის კაცის ხელის მიუწვდენელი წრიაპა მთის ადგილები, რომ ზედ გერმანიელს სამუშაო არ ჰქონდეს გამართული.

* * *

როდესაც თვალს გადაავლებ გერმანიის ტყეებს ისე დასუფთავებულია, რომ ერთ ქაცვსაც ვერ იპოვი. თანასწორი ტანი და ერთი წლოვანება ხეებისა გულს გაგინათლებს,— ისე კარგი სანახავია. როგორც ყანები, შიგ თავის რიგზე და წესზე ყოველივერი გამართულია, ისე მთელი ტყე უბნებათ არის დაყოფილი; პირველ წელიწადს მოსჭრიან ერთს უბანს; მეორე წელიწადს, მეორე უბანს და ასე რიგობით მიჰყვებიან, სანამ პირველად მოჭრილი ტყის უბანი ისევ არ დასრულდება იმდენათ, რომ ხელ-ახლა მოსაჭრელათ გახდეს. ტყეებშიაც გაუყვანილია თავისი არხები და რუები გასაწმენდათ და მოსარწყველათ. ძვირათ მოიძებნება ისეთი ხე, რომელზედაც არ ეტყობოდეს პატრონის ხელი.

სადაც ბუნებითი გაშვებული კორდები ან მინდვრებია, იქ ვერანა, უნაყოფო ფერწებს, ან დამდგარ წყლისაგან გაკეთებულ უნაყოფო ადგილებს ვერ ნახავ. აქაური სათიბები ან მინდვრები არიან ლარივით სწორათ გასულნი, ისეთი დასუფთავებულია, რომ შიგ ჩხირსაც ვერ იპოვნი, მრავალგვარნი რუები როგორც სიდიდით, ისე სხვა და სხვა მხარეზე მიმართულებით არიან შიგ სათიბში გაყვანილნი, ზოგან ამ რუებს საგუბარები აქვს გაკეთებული, თუ საჭირო იქნა წყლის დასაგუბებლათ; ზოგან რუებს დაცემული სადენი აქვს, რომ წყალს ჩქარი დენა ჰქონდეს, ზოგგან რუების კიდეები წაწვენილი ბეგებია, ზოგგან კედლებსავით სწორათ აყუდებულია; ერთი სიტყვით, სად როგორც მოუხდება, ყოველგან ისე მოგვარებულია. ამისთანა კეთებას რასაკვირველია მრავალი შრომა უნდა, მაგრამ მაგიერათ ისიც უნდა ვიკითხოთ, აბა, რამდენჯერ ითიბება ამისთანა სათიბები და რამდენს აყარებელს თივას აგროვებენ იქადგან. ისეთ წყაროს ვერსად ჰნახავ, რომ მასისწოლი ფაჩხებით იყოს ამოვსებული და წვიმების დროს ნაპირებზე გადმოდიოდეს, რღვნიდეს მახლობელ ადგილებს და ჭაობებათ აქცევდეს: წყარო თუ ძალიან მიხვეულ-მოხვეულია და ამასგამო ჩქარი დენა არა აქვს, ან წყალი ტყულა უბრალოთ გუბდება, მაშინვე ისე გაასწორებენ იმის კალაპოტს ან საწოლს, რომ ასე გგონია არხი გაუყვანიათო, უწინდელის წყაროს სავალს ვეღარც კი მიაგნებს კაცი. თუ მდინარე თავის მახვეულ-მოხვეულ დენით არას უშლის მცენარეობას, მაშინ თავს დაანებებენ და არას უშლიან, ამასთანავე ადაგ-ადაგ საგუბრებს გაუკეთებენ, რომ როცა საჭიროა წყალი დაგუბდეს. და სხვა დროს კი ჩვეულებრივათ სდიოდეს. თუ ამისთანა რუ სდის ჭალაში მთის მირათ, მაშინ ყოველ საგუბართან გამართულია წისქვილები, სადღვებები, პატარა ტყავის საქნელები, ასე გასინჯე, სახერხავები და სხვა; ის კი არა, პატარა წყაროებსაც არ დააყენებენ თავისთვის, იმასაც გაუკვალვენ, იქითკენ, საითაც უფრო სასარგებლო იქნება იმისი დენა ოჯახობისთვის. ამსახით წყალიც და მიწაც უხვათ აჯილდოებს შრომისთვის ნემეცურ სოფლის მუშას. აი სწორეთ აქ არის მიწის მუშა ნამდვილი კაცი, რომლის ხელქვეით და სასარგებლოთ მიცემულია ყოველი ქმნილება.

* * *

ეხლა თვითონ შინაური ნემეცის მოწყობილობა ანუ გავშინჯოთ. ნემეცს ოჯახი და სად-

გომები მშვენიერათ დასუფთავებული აქვს. გარეგანი ჩუქურთმით შემკულობა სახლებს არა აქვთ რა, მაგრამ თითო სახლის მდებარეობას და იმის შინ ძაჩთელობას რომ გონება მივაპყროთ, სწორეთ გაგვაკვირვებსთ, ისე მშვენიერი მოსაზრებით არიან აგებულნი, ყოველს ნაწილს შიგნით შენობისას თავის დანიშნულება აქვს. თქვენ იმის ოჯახობაში ვერ ნახავთ, როგორც ჩვენშია ხოლმე, თავგადასხდილს ფანჩატურებს, რომელნიც ამტკიცებენ ჩვენებური მეოჯახის უზრუნველობას, თითქოს ამას ამბობდეს, გინდა მქონია, გინდა არა, სულ ერთია. ვერსად ვერ ნახავ, სადა არ გინდა დაყრილს ნაკელს, რომელიც სულ უბრალოთ ჰხდება, თუმცა ყველამ იცის, რომ ნაკელი მიწის განმამრიელებელია და ყოველს მიწის მუშას მხედველობაში უნდა ჰქონდეს რამდენიც შეიძლება ისე მოეტებული მოაგროვოს; ის კი არა გერმანიაში ყოველივე თავის წესზე დაწყობილია, ყველა გულს მოდგინებით შეგროვებული და შენახულია, ყოველივეჩის ამისთანაებს როგორც ფულს ისე უყურებენ.

სახლების მახლობლათ უეჭველათ თქვენ ნახავთ პატარა ბაღჩებს, საყვავილეებს, ან ბოსტნებს, ერთი სიტყვით ყოველგან სასარგებლო და სასიამოვნო ერთმანეთში შეხავებელია. იმათ შინაურ პირუტყვს რომ შეხედო გული გაგინათლდება; ისინი არიან მშვიდობიანნი, თვინიერნი, მაძღარნი და დიდი სარგებლობის მძლეველნი. პირუტყვის მოყვარულობა ნემეცმა მალიან კარგათ იცის თავის საქონლის მოვლა, იმის ჩვეულება, რა საკვები უყვარს, როდის და რითი იყო ავათ— ერთი სიტყვით თავის პირუტყვზე ისეთს ზრუნვილობას იჩენს, როგორც ზოგიერთი დედა თავის შვილზე. თითო მროხამ რომ წელიწადში თოთხმეტი ბათმანი ერბო შემოიტანოს, ნემეცი იმას ცუდს შემოსავალს ეძახის. უფრო ხშირათ მროხა თექვსმეტს ბათმანს აძლევს წელიწადში თავის პატრონს და ზოგიერთგან, კიდევ მეტსაც. ამისგამო ორი ან ოთხი თუმანი რომ მროხამ წელიწადში შემოიტანოს, ამას არაფრათ ჩააგდებენ. აქედგან ცხადათ სჩანს, თუ რამდენი სარგებლობა ემლევა სახნავსათესს მიწებს და თვითონ ოჯახობასაც ერთი მროხიდგან,

* * *

ჩვენებური მეოჯახე არას ოდეს არ დაიჯერებს, რომ ვუთხრა, გერმანიაში ისეთი მეოჯახენი არიან, რომელთაც მხოლოდ სამასი დღიური მიწა აქვთ სამუშაოთ და იქიდგან წმინდა შემოსავალი ათი ათასი მანეთი აქვთ წელიწადში. უფრო საკვირველი ეს არის, რომ ეს მიწა ქალაქს მახლობლათ არ მდებარებს და არც ცვდება, როგორც ჩვენში მოხდება ხოლმე, ორი სამი მოსავლის შემდეგ; ის კი არა ნაყოფიერობას თან და თან უფრო მატულობს. იქაური ჰავა რომ ნახო, ასე იტყვი აქ რა უნდა მოვიდესო. ჰავა ისე ცივია, რომ ვენახი ძლივს იზდება და მიწა უმეტესი ნაწილი სულ უნაყოფო ქვიშაა, მაშ რისგან არის ამდენი აურაცხელი შემოსავალი? გერმანიელის ანუ ნემეცის შრომისა და ცოდნისაგან.

* * *

როდესაც ჩვენს მეოჯახეებს დავუწყებთ ლაპარაკს ჩვენი ოჯახობის უნუგეშო მდგომარეობაზე, სხვათა შორის ისინი იტყვიან, კარგი გზები არა გვაქვს, რომ შეიძლებოდეს ჩვენი ნაწარმოების წასაღებათ შორს ადგილებშიო და ამისთვის შინ, გინდა არ გინდა, იაფ ფასათ ჰყიდით, ისე რომ ნაწარმოები შრომათ არ ღირსო. მაგას თქმა არ უნდა, რომ კარგი გზების ქონვა და ნაწარმოების ადვილათ გასაღება ოჯახობისთვის მეტი არ შეიძლება ისე დიდი სასარგებლოა, მაგრამ ვითომ განათლებულს ქვეყნებში კი ცოტა წვალება საჭირია ნაწარმოების გასაღებას; ოჯახობის მართვას და ნაწარმოების კარგა გაყიდვას ყოველგან ბევრი გაჭირება მოსდევს. მაგრამ ზოგჯერ როცა ნამუშევარს კარგი ფასი არა აქვს და იმის გაყიდვა ხეირიან ფასათ გასაჭირია, განათლებულ ქვეყანაში მოიგონებენ ისეთს ხელობას, რომ ნაწარმოების გაყიდვა, კარგათ გასაღება, ადვილი შექნება; მაგ: გამართვენ არაყის სახდელ შენობებს, პივოს საკეთებელს, სახამებლის, შაქრის და ერბოს საკეთებელს; ამ შენობებს უნდება მრავალი პური, კართოფილი, გოგრა, ჭარხალი, სიმინდი და მრავალი სხვა ჯირნახული.—ამასთანავე აშენებენ მრავალს საქონელს და ჰკვებენ ჯირნახულის გამონახადით; საქონელს კი ან თვითონ ხმარობენ, ან ჰყიდიან და თუ შორს წაყვანა მოუნდათ, ბევრი რადაჭირდება, პირუტყვი თვითონ წაიღებს თავის თავს. ამ სახით ნემცის მეოჯახეები თავის კარზედვე ასაღებენ მოწეულ ჯირნახულს იაფ ფასად და ამასთან ის სარგებლობაც აქვთ, რომ იქვე ოჯახობასთან რჩება ყოველი ფერი, სხვაგან არსად მიდის: არც თხლე, არც პურის ჩენჩი და არც გამონახადი არ ხდება ტყუილა უბრალოთ. ვითომ ჩვენშიაც რომ ასე მოიქცენ, რა დაგვიშავდება?—მე მგონია ქონს, ტყავს და ერბოს ყოველგან კარგი ფასი აქვს. ზემოხსენებული განათლებული ქვეყნის მოვაჭრენი მოვლენ და იყიდიან სხვა რომ არა იყოსრა.—მაშ აქაც გზის ბრალი კი არა, თვითონ ჩვენი უთაურობის ბრალითა

* * *

იტყვიან კიდევ, ფული არა გვაქვს და ზემოხსენებული ქარხნებისთანა შენობები რითი უნდა გავმართოთო? ფული მიწაზე არსად არ ყრია. ის თვითონ მიწაშია, უნდა იშრომო, მოსთხარო ოფლით და ფული ამოვა. ნამდვილათ ვიცით, რომ ფულის შოვნა გერ-

მანიაში უფრო მძლია, ვინამ ჩვენში; მაგრამ რომ იცოდეთ, როგორც აფასებენ იქ ყოველს კაპეიკს. რომ მოკვდე, იმას ტყუილათ არავინ მოგცემს.

აქამდის ჩვენი მებატონეები სამეურნეო საზოგადოებიდან თითქმის უნაყოფოთ იღებ-დენ თესლებს, ზოგმა კარგა მალი თესლიც დაკარგა, მაგრამ გაუმჯობესობა არა ეტყობა-რა. გერმანიაში ბევრს არა აქვს თესლები, მაგრამ ერთი-ორი, ან სამი კაცი შეიკრიბე-ბიან, გააკეთებენ საერთოთ რამე ქარხანას და სხვანი, რომელთაც თესლები სულ არა აქვთ, მოუვლიან თავს თავის ჭირნახულს და მიაქვთ მეზობლის ქარხანაში გასასყიდათ. ჩვენ რომ ისე მოვიქცეთ, რა დაგვიშავდება, მაგრამ საუ-ბედუროთ ჩვენ იმდენი ცოდნა არა გვაქვს, რომ რაიმე ქარხანა გავმართოთ და ჩვენი ოჯა-ხობის საქმე ამისგამო არის ასე გაჩერებული.

* * *

კარგი თესლი არა აქვთ ნამეშევარს ეს რომ ვთქვათ, ცოდვაც არის. სიაფე ყოველთვის ხომ არ ავნებს შემოსავალს. ჩვენ უნდა, ვეცა-დოთ, რაც შეიძლება მეტი მოსავალი გვექ-ნეს მიწიდგან, მაშინ იაფათაც რომ გავყიდოთ, მაინც კარგი სარგებლობა გვექნება.

საქსონიაში ისეთი სიაფეა ყოველ გვარი ჭირნახულისა, რომ არსად არ არის იმისთანა. მაგალითად დრეზდენში ნახევარ მანეთად ხუთ თავიანა სადილი იქნება კაცს. ჩვენში არც ერთ ქალაქში არ მოხერხდება ამისთანა სადილის ჭამა ასე იაფათ, მაგრამ აბა შეხედეთ რანა-ირი მშვენიერათ არის გაწყობილი მიწის მუ-შაობა, სწორეთ პირველ ნახვაზე იქაური ოჯა-ხობა აღტაცებაში მოიყვანს კაცს.

* * *

რათი მიეცა ამისთანა წარმატება გერმა-ნიის მეურნეობას? ამის მიზეზი ერთის თვი-თონ მიწის მუშაკების ხასიათი, იმათი გულს-მოდგინეობა შრომაში და მოთმინება; მეორეა კარგი მიწის ხელობა და კარგი სამეურნეო იარაღები, რომელნიც საუკუნოებით შეუმენიათ იქაურს მიწის მუშაკებს; მესამეა საზოგადოე-ბის კეთილი გავლენა მეურნეობის საქმეზე: იმათ იციან ამხანაგობით საქმის დაწყება და ეს მალიან ხელს უწყობს ყოველ საქმეს.

---

## ბანბა.

ზოგიერთი მცენარების თესლები არიან გა-ხვეული თეთრს ანუ მოყვითალო ბამბაში, რო-გორც მაგ. ბუხუხის, ანუ ვერხვის და მეწნის თესლები არიან დაფარულნი წმინდა ბეწვებით ანუ ბუსუსებში; აი, ამგვარ ბეწვებს ხმარობენ საწერი ქაღალდის მოსამზადებლათ. ამგვარსა-ვე მცენარეებს ეკუთვნის ბანბაც. ბანბა ბევრ-ნაირია და იზრდება განსაკუთრებით აზიის და აფრიკის ცხელ-ქვეყნებში. ეხლა იწყეს მისი თესვა ყველა თბილ ქვეყნებში და აგ-რეთვე სამხრეთ ევროპაში, ჩრდილო და სამ-ხრეთ-ამერიკაში. ჩვენში ბანბა ძლიერ კარგა ხარობს განსაკუთრებით მტკვრის აგაზანებში (პირეში) და ზოგიერთ ადგილებზე იმერეთში, როგორც მაგ, კარცახეში.

* * *

ბანბის ყვავილებს აქვთ მოყვითალო ფერი და სიდიდითაც კარგა მალნი არიან. მდედრო-ბითი სათესლებიდგან კეთდება სამი სანაყოფე, რომლებიც შეადგენენ ბანბის კაშლს. თითო-ული კაშლი სამსხოთ არის, ნიგვზის კაკლის ტოლა და არის გაყოფილი შიგნით ხუთ ბუდედ, თითოეულ ბუდეში არიან 3 ანუ 8 კურ-კა სიდიდით მუხუდოს მარცვლების ტოლა, თითეული კურკა არის დაფარული მრიელ მა-გარი და მოქჩილი ბეწვებით, რომლებიც გამოდიან გარეთ, როცა კურკები დასწიფდე-ბა და კაშლები დასქდებიან. ამდროს მოკრე-ფენ ხოლმე ბანბას, გაარჩევენ მაშინებით, და ჩატენიან ტილოს ტომრებში. თითო საცალე ტომარში ტევენ ხოლმე 400 და 450 გირ-ვანქამდის გარჩეულ ბანბას. გამოთვლილია, რომ წელიწადში 4 მილიონი ამგვარი ცალი ბანბა მოდის.

* * *

უფრო ბევრ ბანბას იძლევა ჩრდილოეთის ამერიკა და განსაკუთრებით ერთი შტატი, რომელსაც გიორგის შტატი ჰქვია. ამ ერთი შტატიდგან გამოაქვთ ყოველ წელიწადს 25 მილიონი დოლარის (35 მილიონ-მანეთამდის) ბანბა მთელ ჩრდილოეთის ამერიკაში კი სამ-მილიონამდის ცალი ბანბა მოდის. უწინ ბევ-რი მოდიოდა ბანბა კიდევ ოსტ-ინდიაში და ჩინეთში, სადაც ნართავიდგან ქსოვენ ერთ წოდებულს მ უ ს ს ე ლ ი ნ ს. რადგანაც უწინ ბანბას ხელით ართავდნენ და ქსოვდნენ, ამი-ტომ ნაქსოვი ძრიელ ძვირი იყო. ესეც უნ-და ვსთქვათ; რომ უწინ თუმც ხელით მუშაობ-დნენ, მაგრამ საკვირველ წმინდა ნაქსოვს აკე-თებდნენ ხანდის ხან. მაგ. ამბობენ, რომ ინ-დოეთში შეეძლოთ ერთი გირვანქა ბანბიდგან ისეთი წმინდა მაფის დართვა, რომელსაც სიგრძე ექნებოდა 115 მილი (805 ვერსტი). მაგრამ ახლანდელმა ხელობამ კი გადააჭარბა მაინც ამ საკვირველ ხელით მუშაობას. ანგლი-ის საქვეყნო გამოფენაზე მოიტანეს მაგ. ერ-თი გირვანქა ბანბიდგან დართული მაფი, რო-მელიც ისრე წმინდა იყო, რომ 1026 მილი (7882 ვერსტი) სიგრძე ჰქონდა. მაშინებით ბანბის რთვა, ქსოვა და თ თქმის გარჩევა დაიწყეს 1775 წლიდგან. თითეულ სართავ-მაშინას ქონდა ხოლმე 300-დის თითისტრე-ბი და ამ რიცხვზე ბევრი კიდევ პატარა თითისტრები. განსაკუთრებით ქსოვა მაში-ნებით იწყეს 1792 წლიდგან, როცა ანგლი-ელმა კარტ-რეიტომა მოიგონა საქსოვი (საფეიქრო) დაზგა. აქედგან იწყეს ფაბრიკე-ბის კეთება, რომლებშიდაც ქსოვდნენ ორთქ-ლის (ოშხივრის) მაშინების საშუალებით. კა-ცის ხელი უნდებოდა ფაბრიკებში მრიელ ცოტა. ორი კაცის ხელისწყობით თითო მა-შინა ართავდა ერთ დღეს ბევრათ მეტს მას-ზე, რამდენის დართვა შეეძლო ოსტინდიაში კარგს ერთგულ მრთველს ერთ წელიწადს. ამი-

ტომ არ არის საკვირველი, რომ ოსტინდიაში და ჩინეთში დაიწყეს ნაქსოვების გზავნა ევროპიდგან და ფასმაც უწინდელზე ბევრათ დაიკლო. გერმანიის სადამოჟნო კავშირში, სადაც ამ 30 და 40 წლის წინათ ძვირი სანახავი იყო ნართი ეხლა 2,018000 თითისტრიანი ბამბის სართავი მაშინების რიცხვი 208 აკიდა. ყველაზე უფრო დიდრონი სართავი მაშინები არიან საქსონიაში, სადაც ამათი რიცხვი ადის 134-დის და თითო მაშინაზე 604,000 თითისტრები არიან მოწყობილნი, ბავარიაში ითვლება 15, პრუსიაში 28, ბადენში 15, ვირტემბერგში 15, ყველა ამ ფაბრიკებში კეთდება ყოველ წელიწადს 235.000 ცალი ბანბა. ავსტრიაში 1, 480,400 თითისტრებიანი ფაბრიკები ითვლება 168-დის. ყველაზე უფრო ბევრი სართავი ფაბრიკები კი რასაკვირველია ანგლიაში არის. რუსეთში ჯერ არ არის ეს ხელობა ისრე გახშირებული, როგორც სხვა სახელმწიფოებში. მაგრამ ეხლა კი თან და თან მატულობს. სხვა გუბერნიებზე უფრო ბევრი ბანბის ფაბრიკები არიან ვლადიმირის, მოსკოვის და პეტერბურგის გუბერნიებში.

***

ნართავს გარდა ბანბას ხმარობენ ტანისამოსის დასადებად. ბანბას რომ წმინდა აზოტ-მმარათი ანუ ერთმანეთში გარეული აზოტ-მმარათ და გოგირდ-მმარათი დავასველოთ და მერმე გავაშროთ, მაშინ ჩვენ მივიღებთ ბანბის თოფის წამალს, რომლის ხმარება შეიძლება კედლების დასანგრევათ და სასროლათაც, ბანბის თოფის წამალი გოგირდის ეთერში რომ გავხსნათ, მაშინ მივიღებთ ჩვენ, ესრე წოდებულ, კოლლოდიუმს, რომელიც ძრიელ საჭიროა ფოტოგრაფიაში სურათების გადასაღებათ და საქიმიოთაც.

## ქაღალდი. წიგნის ბეჭდვა.

ძველ დროში, სანამ ქაღალდის კეთებას მოიგონებდენ, სწერდენ დიდრონ ფოთლებზე, ხის ქერქებზე (კანზე) და პატარა ფიცარზე. შემდეგ დაიწყეს წერა ეტრატზე (პერგამენტზე), რომელსაც აკეთებდენ მხეცების ტყავიდგან პერგამში (მცირე აზიაში), მაგრამ ამაზე ნაწერი წიგნები ისე საშინელი ძვირი იყვნენ, რომ მხოლოდ მდიდრებს თუ შეეძლოთ მათი ყიდვა. ცოტათ გაიეფდა ხელით ნაწერი წიგნები მასაქეთ რაც ქაღალდის კეთება მოიგონეს. ქაღალდის კეთება პირველათ ვითომც უნდა დაეწყოთ ბანბისა და აბრეშუმისაგან ჩინეთში. ისპანიაში დაიწყეს ბანბიდგან ქაღალდის კეთება მეათე საუკუნიდგან და რამდენიმე ხანს თითქმის მთელ ევროპას აქედგან მოჰქონდა ქაღალდი. ქაღალდი და ხელით ნაწერი წიგნები უფრო გაიეფდენ მასაქეთ, რაც 1320 წ. მოიგონეს ძონძებიდგან ქაღალდის კეთება. პირველი საქაღალდო ქარხანა დაარსდა ნიურენბერგში 1390 წ; ანგლიაში 1588 წ. ეხლა ქაღალდი ყველას საჭიროებას შეადგენს, რადგანაც ეხლა კითხვა და წერა თითქმის ყველამ იცის. ეხლა ქაღალდს აკეთებენ, როგორც ვსთქვით, სელის კანაფის და ბანბის ძონძებიდგან. ყველაზე უფრო წმინდა ქაღალდი კეთდება სელის ძონძებიდგან, ყველაზე უფრო მაგარი, როგორც მაგ. ფულის ქაღალდი, — კანაფიდგან. მატყლის ძონძებიდგან აკეთებენ მარტო ნაცრისფერ ქაღალდს, ანუ მუყაოს. ზოგიერთ ქვეყნებში სცადეს ქაღალდის გაკეთება ხის ნახერხიდგან, ჯაოხის ბუსუსიდგან (*пухъ*), ლელიდგან (*камышъ*) ზღვის მცენარებისგან, ბრინჯისა და სიმინდის ჩალიდგან; მაგრამ ამ ნივთიერებებიდგან ქაღალდი კეთება ძვირათ ჯდება და იმიტომაც იმას ძვირათ აკეთებენ. მათგან სიმინდის ჩალიდგან ქაღალდის კეთება დაიწყეს ფორარლბერგში და შვეიცარიაში, სადაც, ფაბრიკებიც გამართეს, და იმედია, რომ იმათ შრომას ექმნება წარმატება.

***

საქაღალდე ქარხნებში ქაღალდს აკეთებენ ძონძებიდგან ამ გვარად: პირველათ გადაარჩევენ ხოლმე ძონძებს, შემდგომ დახევენ ნაკუწებად, მოხარშვენ მაგარ ნაცარტუტში; მერმეთ გარეცხვენ და გამოფქვენ ესრეთ წოდებულ გოლანდიურ მაშინებში, ისე რომ ძონძები გადიქცევიან თხელ ქაშად; ამას მიუმატებენ ქლორს ანუ ქლორულ კირს და ნაცარტუტიან წყალს და ხელახლა დაუწყებენ ფქვას. ნაცარტუტს მიუმატებენ შემდგომ მისთვის, რომ ის აცლის ქაღალდს ქლორს, რომელიც თუ დარჩა ქაღალდის სიმაგრეს აფუჭებს. გათეთრებული და საკმაოდ გაწმენდილი ქაშიდგან ამზადებენ ქაღალდს შემდგომ ორ ნაირად, ხელით და მაშინით.

***

ხელით ქაღალდის მომზადების დროს საჭიროა საცერი, რომელიც სპილენძის წმინდა მავთულისაგან უნდა იყოს გაკეთებული. ერთი კაცი აცხამს ამგვარ საცერში საქაღალდო ქაშს და ანძრევს მას, მაშინ წყალი გადის საცერში, ქაღალდის ქაში კი იმტკიცება მისს ძირზე სწორად. შემდგომ ამოიღებენ საცერს მისს ძირს დამტკიცებული ქაღალდის ქაშიანათ და დასდებენ ნაბადზე. ერთ ჩარჩოს ზევით მეორეს დასდებენ, მეორეზე მესამეს, მესამეზე მეოთხეს და სხვებსაც ამ გვარათ. მეორე მუშა ამ დროს აწვება ამ ჩარჩოებს ზევიდგან და სტკეცამს ქაღალდს. ამ გვარათ მიიღებენ ქაღალდს, რომელსაც გამოიტანენ ჰაერში და გააშრობენ, როგორც სარეცხს. იმ თაბახებს, რომლებიც საწერათ, სახატავად და სხვა ამ გვარებისთვის უნდათ, ამოავლებენ წებოში, გასტკეცვენ და გააშრობენ. წებოში ამოვლება მისთვის უნდა ქაღალდს, რომ მელანი და სხვა ამ გვარები ვერ გავიდეს მასში.

***

მაშინით ქაღალდის კეთება ძრიელ ჰგავს ხელით კეთებას, განსხვავება მხოლოდ სიჩქარეში მდგომარეობს; აქ ერთს და იმავე დროს საცერი რომელიც მიიღებს თუ არა ქაღალდის ქაშს მაშინვე გადააქვს და აწყობს იმას ნაბადზე, ამასთანავე გადააქვს მორგვებიც, რომლებიც მტკეცენ იმას (ქაშს); ეს მორგვები გაუწყვეტლად ინძრევიან და მათ შორის გადის ნაბადი ქაღალდით. ისინი ერთს დაიმავე დროს კიდევაც მტკეცენ და კიდევაც აშრობენ ქაღალდს; ამიტომ რომ იგინი არიან ცხელნი და ერთმანეთს ეხებიან. გამოდის თუ არა მორგვებიდგან ქაღალდი, ის ეხვევა საგორავებზე რო-

მლებზედაც შეიძლება დაეტიოს რამდენიმე ასი ადლი ქაღალდი. შემდგომ მოაცილებენ მას მორგვებიდგან, დასჭრიან თაბახებათ და დააწყობენ რვეულებრივად. თითო რვეული 6 თაბახია, 4 რვეული ერთი დასტა, 20 დასტა შეადგენს ერთ ოზმას.

* * *

ქაღალდის კეთებაზე, ბევრათ უფრო შესანიშნავი არის წიგნის ბეჭდვა. წიგნის საბეჭდავათ ხმარობენ ასოებს (ლიტერებს), რომლებიც არიან ჩამოსხმულნი ერთად არეულ ტყვიისა და თუთია მეტალისაგან. როცა რისამე დაბეჭდა უნდათ, მაშინ შეაწყობენ ასოებიდგან ისე, როგორც ხელნაწერშია სიტყვებს, სტრიქონებს და გვერდებს; შემდგომ ხელახლა გაასწორებენ, სადაც შეცდომა მოსვლიათ, ესე იგი ანთუ სადმე ასო დაკლებია, ან ის ასო არ ჩაუსვამთ, რომელიც უნდა და ან თუ მეტი ასო ანუ სიტყვა მოსვლიათ და სხვა. ბოლოსდროს მთელ გასწორებულ ფორმას შეადებენ ხოლმე საბეჭდავ ჯახრაკში; დაწყობილ ასოებს წაუსმენ მელანს ზევიდან დაადებენ იმათ თაბახ ქაღალდს, ჯერეთ გვერდზე და მერე მეორეზე იბეჭდებიან სიტყვები, როცა ჯახრაკს მოუჭერენ. უწინდელი ხელის ჯახრაკების მაგიერათ, ეხლა ხმარობენ ესრეთ წოდებულ ჩქარა საბეჭდავ ჯახრაკს. ამ ჯახრაკებით ბეჭვდის დროს საქმე მხოლოდ ის არის, რომ თაბახების შედება მოასწრონ საბეჭდავში, საიდგანაც გადიან იგინი ორივე გვერდზე დაბეჭდილები. საზოგადოთ ეს საქმე ისე სისრულეშია მიყვანილი, რომ შეიძლება ერთ საათში 40,000 თაბახამდის დაბეჭდოს ერთ გვერდზე, და ამას თანავე ამ საქმეს სამი უმაწვილის ხელის წყობის მეტი არ უნდება.

წიგნის ბეჭდვა მოიგონა 1440 წ. ნემეცმა იოანე გუტენბერგმა მაინცში; ამ დრომდის ხმარობდნენ საბეჭდავათ პატარა ფიცრებს, რომლებზედაც იყო ამოჭრილი ასოები. ეს ხელობა დიდი ხანია იცოდენ ჩინელებმა, ევროპაში შემოიღეს 1400 წ. ბანქოს და სხვა სურათების საბეჭდავათ; იპოებოდა ეგრეთვე ამ დროს დაბეჭდილი პატარა წიგნებიც; მაგრამ იმათ დასაბეჭდავათ საჭირო იყო იმდენი ფიცარი, რამდენი გვერდი წიგნს ექნებოდა. გუტენბერგმა მოიგონა მოძრავი ასოები, პირველათ მაგან გააკეთა ხის ასოები, მაგრამ მერმეთ მის სიცოცხლეშივე შემოიღეს მეტალის ასოები. ასოებს ჯერეთ გამოჭრიან ფოლადისაგან და მერმეთ იმათზე ჩამოასხამენ ხოლმე ნამდვილ ასოებს სხვა მეტალიდგან. პირველი წიგნი, რომელიც დაბეჭდა გუტენბერგმა, იყო დაბადება. ის გამოვიდა ორტომად მაინცში 1456 წ. გერმანიიდგან ჩქარა გავრცელდა წიგნის ბეჭდვა ყველა სხვა ქვეყნებშიდაც. სისრულეში მოუყვანა ბეჭდვისა ეკუთნის წარსული საუკუნის დროებას. ჩქარა საბეჭდავი ჯახრაკი კი გამოიგონა ამ უკანასკნელ დროებაში ფრიდრიხმა—კონიგიმ პრუსიაში, ქ ეისლებენში.

წყალტუბელი.

1869 წ.

## მნათობის რედაქციიდგან

ჟურნალი მნათობი» გამოვა ამ წელს შემდეგის პირების რედაქციაში: უმთავრესის მონაწილეობით დიმიტრი ბაქრაძისა, გიორგი იოსელიანისა და ანტონ ფურცელაძისა. მუდმივი თანამშრომლები იქნებიან, გარდა მოხსენებული პირთა: გ. თარხან-მოურავი, მოსე ქიქოძე, ინგილო ჯანაშვილი, აკაკი წერეთელი, ფაზელი, ჭალადიდელი, სვიმონ მგალობლიშვილი და სხვა.

«ამასთანავე» მნათობის რედაქცია აცხადებს, რომ რედაქცია ამ ჟურნალისა გადავიდა სემინარიის მასწავლებლის გიორგი იოსელიანის ბინაზედ, აქიმოვის ქუჩაზედ კამოევის სახლებში. 2, ხელის მომწერლებს ან სხვათ, ვისაც საქმე ექნებათ «მნათობთან,» მიმართონ რედაქციას ამ ადრესით: Учителю Тифлисской Духовной Семинаріи Георгію Іоселіани, въ Тифлисъ, въ Духовную Семинарію, ან: въ книжный магазинъ Аладатова. ფულიც ამავე ადრესებით წარმოადგინონ. 3, რედაქცია აცხადებს, რომ ვინიცობაა, ვისაც ჯერ ფული არ შემოუტანია ან გამოუგზავნის სხვა ადრესით, და არა იმ ადრესებით, რომელნიც ზემოთ არიან მოხსენებულნი, მაშინ ის პასუხის გებაში არ არის თუ არ მიუვიდა «მნათობი», და 4. შარშანდელს ხელის-მომწერთ რამდენი ნომერიც დააკლდათ შარშან—წელს შეუსრულდებათ, და ვისაც ჰსურს დანაშთენი უკანასკნელი წლის ოთხი ნომერიც მიიღოს უნდა წარმოადგინოს კიდევ ორი მანეთი.

ამასთან «მნათობის» რედაქცია უმორჩილესად სთხოვს, ვისაც შარშანდელი ან წლევანდელი ფული არ შემოუტანიათ, ან დააკლდებიათ, წარმოადგინონ საჩქაროთ.

რედ. ნ. ავალიშვილი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 марта 1871 г. დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.